საქართველო თანამედროვე მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროს

ნანი მამფორია, სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

თემის დასაწყისში ჩვენ ვიხილავთ გლობალიზაციის სირთულეებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ეკონომიკის განვითარებისათ-ვის.

თემაში ვითვალისწინებთ იმ მოსაზრებასაც, რომ მსოფლიო ფინანსური კრიზისი არ შეხებია საქართველოს ერთი მარტივი მიზეზით - არ არსებობს ეკონომიკა და ვერ იქნებოდა მოვლენაც.

მიმოვიხილავთ რამდენად შეეხო მსოფლიო კრიზისი საქართველოს, განსაკუთრებულად ეკონომიკის რომელი სფერო დაზარალდა და რატომ.

ჩვენთვის მისაღები და საინტერესოა თანამედროვე ფინანსისტთა აზრი ამ საკითხის გარშემო, ამიტომაც ნაშრომში უხვად ვიხილავთ მათ მოსაზრე-ბებს და ბევრგან წარმოდგენილი გვაქვს ციტატის სახით.

საბოლოოდ დასკვნის სახით ვასრულებთ მიმდინარე ნაშრომს და ვუთითებთ გამოყენებულ ლიტერატურას.

Summary

In the beginning of the theme we are considered the challenges of globalization, which are essential for economical development.

In the theme we‘re considering even that suggestions, where world financial crisis haven‘t been touched to Georgia for one simple reason - there is no economy, and it could not be an event.

Let’s review, how the world economic crisis haven‘t been touched to Georgia, particularly which economical area incured losses, and why.

Modern financiers opinion about this issue are acceptable and interesting for me, so I presented a lot of works and ideas in the form of a quotation in this theme.

Finally, we conclude the paper and indicate the references.

* * * * * * * *

2008 წლის მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა დაამტკიცა, რომ საერთო მსოფლიო გლობალური პროცესების გათვალისწინების გარეშე არ არსებობს ეროვნული ეკონომიკური პროგრესი. ყოველთვის ხელისუფლება ვერ არის სათანადო სიმაღლეზე, ვერ ითვალისწინებს იმ სირთულეებს, რომლებსაც სთავაზობს გლობალიზაციის პროცესი. ,,ის ქვეყნები, რომლის ხელისუფლებას ,,დაავიწყდება", რომ გლობალიზაცია მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, არის კონკურენცია, რომელშიდაც მონაწილეობენ ფირმები და არა ქვეყნები, რომ კონკურენციის შედეგები აისახება ქვეყნების მდგომარეობაზე და არა მხოლოდ ფირმების სამეურნეო შედეგებზე, განწირულნი არიან ხანგრძლივი პერიოდით ჩამორჩენისათვის".

თუ შევთანხმდებით იმაზე, რომ მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე, ან თუნდაც საწინააღმდეგო მოსაზრება გაგვაჩნია იმ მოტივით, რომ არ არსებობს ეკონომიკა და ვერ იქნებოდა მოვლენაც - ორივე შემთხვევაში მივდივართ ერთ დასკვნამდე: ეკონომიკური განვითარების გარეშე სახელმწიფო ვერ იარსებებს. (ეკონომიკის ,,არ არსებობასაც" საქართველოში თავისი მიზეზები აქვს, ყველასათვის ცხადი და არახალი: რუსეთის იმპერია საქართველოს საუკუნეზე მეტ ხანს მართავდა, როგორც იმპერიის შემადგენელ ნაწილს. იგი ყოველმხრივ აფერხებდა ქართულ ინიციატივებს დამოუკიდებელი ეკონომიკისა და მათ შორის მრეწველობის განვითარების სფეროში.)

ფინანსური კრიზისის მოსალოდნელობა და მისი დამანგრეველი ზემოქმედების გაცნობიერება საინტერესოდ წარიმართა საქართველოში. სამწუხაროდ, აქ ,,მსოფლიო კრიზისის შესახებ სწორი წარმოდგენების შექმნა მხოლოდ მას შემდეგ მოხერხდა, როდესაც ჩვენდამი კეთილად განწყობილმა ქვეყნებმა (ანუ დონორმა ქვეყნებმა) და საერთაშორისო ორგანი-ზაციებმა, ზრდილობიანი უარი გვითხრეს დახმარებაზე წინასწარ დაპირებული მოცულობით, სწორედ, მსოფლიო ფინანსური კრიზისის მიზეზით" ..

ამ დროს ბეჭდურ მედიაში ისევ ჩნდებოდა ნაცადი ,,ხერხი", თითქოს საქართველო მსოფლიო პროცესებში არ არის საკმარისად ინტეგრირებული და ეს კრიზისი სრულიად უსაფრთხოა. ,,ქვეყანა, როგორც ნაფოტი ზღვაში, ისე ,,დრეიფობს" მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში. შესაბამისად ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ ჩვენ მსოფლიო დინამიზმის დესტაბილური ტენდენციები არ შეგვეხება, არა მარტო შეცდომაა, არამედ დანაშაულიცაა" .

მაშინ, როდესაც მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებდა, ჩვენი მთავრობა დროდადრო გვამცნობდა, რომ საქართველოს ჯერ იყო და კრიზისმა გვერდი აუარა; მალე ,,გვახარეს", რომ კრიზისი ჩვენს ქვეყანაში უკვე დასრულდა; ე. ი. მივიღეთ შემოუსვლელად დამთავრებული კრიზისი.

,,მსოფლიო კრიზისი ხდება საქართველოსათვის გლობალურ გარემოში გზამკვლევი. ეს გახლავთ გლობალიზაციის მთავარი გაკვეთილი საქართველოსათვის და საჭიროა სათანადო დასკვნების გაკეთება".

თანამედროვე მსოფლიო ფინანსური კრიზისი დროში სრულიად შემთხვევით დაემთხვა საქართველოში მიმდინარე საომარ მოქმედებებს. 2008 წელს საქართველოში შემოსულმა ინვესტიციებმა 1564 მილიონი დოლარი შეადგინა, წინა წელთან შედარებით 600 მილიონით ნაკლები.

უნდა აღინიშნოს, რომ გლობალური ფინანსური კრიზისის ზეგავლენის ნიშნები ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას აგვისტოს მოვლენამდეც დაეტყო, რამაც განსაკუთრებით საბანკო და სამშენებლო სექტორში იჩინა თავი. ჩვენი ბანკები, როგორც წესი, მუშაობენ საერთაშორისო ბაზრებზე ნაშოვნი იაფი სესხებით და ამ კრიზისის შემთხვევაში მათთვის იაფი სესხები უკვე ადვილად ხელმისაწვდომი აღარ იყო. ბუნებრივია, ქართულმა ბანკებმა საპროცე-ნტო განაკვეთები გაზარდეს. ბანკები რეალურად კრიზისის წინაშე დადგნენ. 2008 წლის ბოლოს ბანკებმა დაიწყეს კადრების შემცირება. ამ პერიოდში საბანკო სექტორში სამუშაო დაკარგა 6000-მდე ადამიანმა. ფინანსური კრიზისი საქართველოში ბანკების პარალელურად ყველაზე მეტად სამშენე-ბლო სექტორს შეეხო, რადგან სამშენებლო პროექტების უმ-

რავლესობა ძირითადად მოსახლეობის მხრიდან მობილიზებული საბანკო კრედიტების უზრუნველყოფით ხორციელდებოდა. სამშენებლო სამუშაოები შეჩერდა და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი საერთოდ შეწყდა.

მდგომარეობა გაართულა იმანაც, რომ რუსული აგრესიის შემდეგ საქართველოში უცხოური ინვესტიციებიც შემცირდა, ქვეყანამ დაკარგა საკმაოდ ბევრი ინვესტიცია. სურსათის ფასები თითქმის 30 პროცენტით გაიზარდა. გაიზარდა ასევე ნავთობპროდუქციის ფასები. მედიკამენტებიც გაძვირდა. ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადსაღებია სოციოლოგიური გამოკითხვა და პროცენტული მაჩვენებელი:

ლარის კურსის გამყარებამ ნეგატიური გავლენა მოახდინა იმ ადამიანებზე, რომელთა შემოსავალი ან ხელფასი უცხოურ ვალუტაში აქვთ და იმ ადამიანებზე, ვინც დახმარებას იღებს საზღვარგარეთ წასული ოჯახის წევრებისა და ნათესავებისაგან. თუ ადრე 100 დოლარში ადამიანი 185 ლარს იღებდა, ახლა 165 ლარს იღებს.

უდავოა, კრიზისი ნეგატიურად აისახა პირველ რიგში იმ ქართულ კომპანიებზე, რომლებიც ექსპორტს ახორციელებდნენ ევროკავშირში. კრიზისის პირობებში ევროზონაში (და მთლიანად ევროკავშირში) მათ მიიღეს ნაკლები შეკვეთები, კონტრაქტები და ცხადია, ექსპორტის მოცულობა შემცირდა. კრიზისმა გავლენა მოახდინა იმ ოჯახებზე, რომლებიც დახმარებებს ფულადი ტრანსფერების სახით ღებულობენ საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული თანამემამულეებიდან. საქართველოს ბაზარი დიდწილად იმპორტზეა დამოკიდებული. ადგილობრივი აგროპროდუქცია შიდა ბაზრის მოთხოვნის მხოლოდ 12 პროცენტს აკმაყოფილებს. შესაბამისად, მსოფლიო ფასები ქართულ ბაზარზე მყისიერ გავლენას ახდენს.

საქართველოში, ეკონომიკური კრიზისის პირობებში განვითარების ტემპი დამოკიდებულია უპირველესად გარე ფაქტორებზე: საგარეო ვალზე, იმპორტის სტრუქტურასა და ფასებზე და მათ მიერ განპირობებულ ფისკალურ ეფექტზე, ასევე დოლარის კურსზე. მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების დონე (შესაბამისად, ცხოვრების დონე) არსებითად დაკავშირებულია ამ ფაქტორებთან. აქედან გამომდინარე, საინვესტიციო პროცესში სახელმწიფოს მონაწილეობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დასაქმების ზრდას, მოსახლეობის შემოსავლებისა და ბიუჯეტის სტაბილურობას და შეამცირებს ქვეყნის ეკონომიკის დამოკიდებულებას გარე ფაქტორების გავლენისაგან.

საქართველოსთვის უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებას და განხორციელებას, რომელიც ეკონომიკის მდგრადი განვითარების საშუალებას მოგვცემს, რომლის საბოლოო მიზანიც არის აღდგენილი და სიცოცხლისუნარიანი ქართული ეკონომიკის შექმნა.

დასასრულს, გაკეთებული იქნა შემდეგი სახის განზოგადოებული დასკვნები:

- კრიზისიდან გამოსვლის შედეგად მსოფლიოს ეცოდინება, თუ როგორ უნდა გააგრძელოს საქმიანობა გლობალურ გარემოში.
- კრიზისმა ხელი შეუწყო ცალკეული რეგიონების დაახლოებას და უკვე არსებული გაერთიანებების მჭიდროდ თანამშრომლობას და ერთიანი გადაწყვეტილებების მიღებას.
- 2008 წლის მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა დაამტკიცა, რომ საერთო მსოფლიო გლობალური პროცესების გათვალისწინების გარეშე არ არსებობს ეროვნული ეკონომიკური პროგრესი.
- ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ ჩვენ მსოფლიო დინამიზმის დესტაბილური ტენდენციები არ შეგვეხება, არა მარტო შეცდომაა, არამედ დანაშაულიცაა.
- ქვეყნის მაკროეკონომიკური პროგრესი მჭიდროდაა დაკავშირებული მსოფლიო განვითარების დინამიზმთან და გამომდინარეობს გლობალური ეკონომიკური კანონზომიერებებიდან. ამ თვალსაზრისით, საქართველო ინტეგრირებულია მსოფლიო სამეურნეო სისტემაში იმდენად, რომ მისი მაკროეკონომიკური შედეგები განისაზღვრება გლობალური ეკონომიკური პროცესებით. შესაბამისად, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მსვლელობის ანალიზი შესაძლებელია ერთიანი მსოფლიო პროცესებიდან გამომდინარე.
- მსოფლიო კრიზისი ხდება საქართველოსათვის გლობალურ გარემოში გზამკვლევი. ეს გახლავთ გლობალიზაციის მთავარი გაკვეთილი საქართველოსათვის და საჭიროა სათანადო დასკვნების გაკეთება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გველესიანი მ. ეკონომიკსი. თბ. ,,კომენტარი". 2000.
2. გველესიანი მ. რა არის ეკონომიკური პოლიტიკა. თბ., კომენტარი. 2008.
4. ლემონჯავა პ. აბრალავა ა. ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2011.
5. sskgc-ს ბიულეტენი №114 თბ., 2009
6. საქართველოს ეკონომიკა (ჟურნალი) № 4 თბ., 2009
7. საქართველოს ეკონომიკა (ჟურნალი) № 2 თბ., 2009
8. პაპავა ვლ. ოთხი წელი «ვარდისფერ» პარლამენტში. «სიახლე». თბ., 2009.
9.საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბ., 2010.
10. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2009
11. ჭუმბურიძე მ. ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 2009
12. იაკობიძე დ. საქართველო და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, თბ., 2009
13. სოციალური ეკონომიკა (ჟურნალი) სპეციალური ნომერი № 1 (13) თბ., 2011
14. Куряев А. В. Пер. с англ. Бум, крах и будущее, Анализ австрийской школи Москва. «Социум» 2010.
15. Ротбард М. Н. Экономические депрессии; их причины и методы лечения Пер. с англ. А. В. Филъчука Москва. «Социум» 2010.
16. http://www.mes.gov.ge/
17. http://www.statistics. ge/
18. http://www. business. ru/